MRAVALTAVI

Philological and Historical Researches

Published since 1971

27

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

გამოდის 1971 წლიდან

27

სარედაქციო კოლეგია

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი), ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი, თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, ეთერ ქავთარაძე, დავით შენგელია

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი "L'Orientale"), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: დარეჯან კლდიაშვილი, თამარ ოთხმეზური

EDITORIAL BOARD

Tsisana Abuladze, Zaza Aleksidze (editor-in-chief), Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili, Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Ether Kavtaradze, Davit Shengelia

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Ilia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples "L'Orientale"), Nino Zchomelidse (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Darejan Kldiashvili, Thamar Otkhmezuri

ISSN 0234-7385 („მრავალთავი")

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021

ქრონიკა – 2020

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები

- 12 თებერვალი: კორნელი კეკელიძის სახელობის რიგით 131-ე სემინარი. მოხსენება წაიკითხა თამარ ოთხმეზურმა, კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თემაზე: „იოანე სინელის „კლემაქსი“ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში“.
- 18 სექტემბერი: რუსუდან გვარამიას სახელობის სემინარი (ონლაინ ფორმატით). მოხსენება სათაურით „ოსმალური ნარატიული წყაროები 1578 წელს ქართლის დაპყრობის შესახებ“ წარმოადგინა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლური და სომხური ხელნაწერების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა, თამარ პაპუაშვილმა. სემინარი დაიგეგმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „უცნობი ოსმალური წყარო ლალა მუსტაფა ფაშას საქართველოში ლაშქრობის შესახებ (1578-1580 წწ.)“ ფარგლებში.
- 4 ივნისი: გაიმართა ვიდეო-კონფერენცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კელნის უნივერსიტეტის რესტავრაცია-კონსერვაციის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით. კონფერენცია ეძღვნებოდა ერთობლივ პროექტს, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და ითვალისწინებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კალის ლექციონარის კოდიკოლოგიურ შესწავლასა და რესტავრაციას.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2020

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად იყო ჩართული ღონისძიებაში: „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2020“, რომელიც ჩატარდა ევროპის მკვლევართა ღამის (European Researchers' Night) პროექტის CAPTAIN: Science is the Captain-ის ფარგლებში.

- 27 ნოემბერი: Zoom-ის პლატფორმაზე გაიმართა პანელური დისკუსია – ვახუშტი ბაგრატიონის „მსოფლიოს გეოგრაფია“.
- 28 ნოემბერი: ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ონლაინექსკურსია „ამბავი ქიმიის ქმნისა“. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ

ქიმიის, ფიზიკის, არითმეტიკის, პლანიმეტრიისა თუ გეომეტრიის უძველეს ხელნაწერებს. ლექციას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზიდან უძღვებოდნენ ნესტან ბაგაური და მანანა ღვინერია (საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება).

ორივე ღონისძიება განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. პარტნიორები: ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ და სახალისო მეცნიერების მუზეუმი „ექსპერიმენტორიუმი“.

პრეზენტაციები

- 29 იანვარი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბოლო ხანს გამოცემული ნაშრომების პრეზენტაცია. ღონისძიების მიზანი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა მიერ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების წარდგენა საზოგადოებისათვის.
- 3 თებერვალი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარდგა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წინაშე. შეხვედრა ითვალისწინებდა საქართველოში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების კოორდინირებულ მუშაობას კომიტეტთან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ზაალ აბაშიძემ, კომიტეტს გააცნო ცენტრის მუშაობის ტენდენციები, განვითარების პოტენციალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსმა, ნესტან ბაგაურმა, ისაუბრა ცენტრის საგანმანათლებლო მიმართულებით საქმიანობის ძირითად პრინციპებზე.
- 6 მარტი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტში შედგა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის „სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში“ ფარგლებში შემუშავებული სასწავლო კურსის „სამედიცინო ცოდნა ხელნაწერ მემკვიდრეობაში“ მოდულების პრეზენტაცია.

მნიშვნელოვანი ვიზიტები, შეხვედრები

- 17 ნოემბერი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრად ეწვია გერმანელი ჟურნალისტი, გეზინე დორნბიუთი. უცხოელი ჟურნალისტი გერმანულ რადიოში მუშაობს და ქართული მუსიკალური ხელნაწერების შესახებ ამზადებს სიუჟეტს. ცენტრში მან დაათვალიერა ქართული ხელ-

ნაწერები: X-XI საუკუნეებით დათარიღებული საგალობელთა კრებულები, ექვთიმე კერესელიძის მიერ გადაწერილი ნოტები.

- 15 დეკემბერი: Zoom-ის პლატფორმაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ბატონი ზაალ აბაშიძე, შეხვდა ჰამბურგის უნივერსიტეტთან არსებული ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ მიქაელ ფრიდრიხს და ცნობილ ქართველოლოგს, პროფესორ იოსტ გიპერტს. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. უახლოეს მომავალში კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ჰამბურგის ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.

მემორანდუმი

2020 წელს რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-დასავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ორგანიზაციები მიზნად ისახავენ ითანამშრომლონ კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულებებით, რაც გულისხმობს მეცნიერების მოკლევადიან მივლინებებს ლექციების ჩატარების მიზნით, თანამშრომლობას სამეცნიერო პროექტების ფარგლებში, ერთობლივი ტრენინგების, ვორქშოფებისა და კონფერენციების ჩატარებას და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამები, გამოფენები

- 20 იანვრი: გაიხსნა ქართული ქიმიისა და ფიზიკის ხელნაწერების გამოფენა ექსპერიმენტორიუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და აგრარული უნივერსიტეტის მხარდაჭერით. ღონისძიების ფარგლებში გამოიფინა ვახტანგ VI-ის ქიმიის, დავით ბატონიშვილისა და ანტონ I-ის ფიზიკისა და სხვათა ხელნაწერების ფოტომასალები და ასლები. სპეციალურად ამ გამოფენისათვის დამზადდა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ გადაწერილი ორიგინალი ხელნაწერის ასლი.
- 8 თებერვალი: ქუთაისში, გელათის აკადემიაში, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა დავითობის დღესასწაულზე წარადგინა ფოტოგამოფენა სახელწოდებით „გალობის გელათური სკოლა“, რომელიც მომზადდა ცენტრში დაცული ხელნაწერების მიხედვით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მუსიკალური აზროვნების ისტორიის ამსახველი ხელნაწერები, X საუკუნიდან მოყოლებული XIX-XX საუკუნეების ჩათვლით.
- 10 თებერვალი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით დაიწყო საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა: „დავით აღმაშენებელი – რას მოგვითხრობენ ხელნაწერ-

ები?“ პროგრამა მოიცავდა გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილი იყო მეფე დავითთან დაკავშირებული ხელნაწერები და საგანმანათლებლო აქტივობა (საგანმანათლებლო თავგადასავალი „იპოვე „აღმაშენებელი“).

- 24 თებერვალი: ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა „ევროპულ სკოლაში“ წარადგინა საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ასახავს ცენტრში დაცულ სხვადასხვაენოვან კოლექციას: ქართული ანბანის სამივე სახეობის ხელნაწერებს, ლათინურ, ბერძნულ, იტალიურსა და სხვა ენებზე შესრულებული ხელნაწერებს. „ევროპულ სკოლაში“ გამოიფინა მეფე თამარის მიერ დაკვეთილი ხელნაწერის, „ვანის ოთხთავის“ ასლი; მოეწყო 3D ინსტალაცია, რომელიც ასახავს უნიკალურ ხელნაწერ მემკიდრეობას; მოეწყო შეხვედრა მეცნიერთან: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა ეკა დუღაშვილმა ჩაატარა ლექცია ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ.
- 17 თებერვალი: გამოფენაზე „აფხაზეთი – ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“, რომელსაც მასპინძლობდა საქართველოს საელჩო ნიდერლანდების სამეფოში, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა 1300 წელს მოქვის მონასტერში გადაწერილი ოქრომელნით შემკული უნიკალური ოთხთავი (ასლი) და საარქივო მასალები.
- 29 თებერვალი: გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე, ღვინის ეროვნული სააგენტო. კონფერენციის ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოაწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო: „ხელმწიფის კარის გარიგება“ (თხზულებაში აღწერილია მეფისათვის ახალ წელს ღვინის მირთმევის ტრადიცია), ისტორიული საბუთები ვენახის ნასყიდობის, ღვინის დაჭაშნიკებისა და ღვინის შეწირვის, ასევე, მეღვინეთუხუცესისა თუ მეღვინეთა და მეხელადეთა შესახებ; „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურ ხელნაწერებში დადასტურებული ვაზის ორნამენტები და სხვ.
- აპრილი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ბარსელონას „წმიდა ნინოს“ სახელობის ტაძართან არსებული „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ თანამშომლობით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა საინტერესო კალიგრაფიული ნიმუშები შექმნეს.
- აპრილი-მაისი: კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები. ნიდერლანდების სამეფოში არსებული „ქართული კულტურის ცენტრისა“ და საქართველოში მოქმედი ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ინიციატივით, უცხოეთსა და საქართველოში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის შეიქმნა ონლაინ შემეცნებითი კურსები - „კა-

ლიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები“. აღნიშნული პროექტი ინიცირებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და გაერთიანება „რუსთაველ კალიგრაფებთან“ პარტნიორობის ფარგლებში. კალიგრაფიის პირველი ონლაინ გაკვეთილი 2 მაისს შედგა Zoom-ის პლატფორმაზე, რომელსაც როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჩიკაგოში მყოფი ქართველები ესწრებოდნენ. კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილებმა ევროპაში, ამერიკასა და ოკუპირებულ აფხაზეთში მყოფი ქართველები გააერთიანა.

- 26 მაისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ფონდთან „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ერთად 26 მაისს საზოგადოებას შესთავაზა საგანმანათლებლო პროექტი: „ჩემი გენერალი – გიორგი კვინიტაძე“. პროექტი განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. 26 მაისს განხორციელებული აქტივობები: 1. დოკუმენტური ვიდეორგოლის „გენერალი გიორგი კვინიტაძე – გაცოცხლებული ისტორია“ ჩვენება და ონლაინ გაკვეთილი; 2. ესეების კონკურსი „ჩემი გენერალი – გიორგი კვინიტაძე“.
- 10 ივლისი: პროექტის „კალის ლექციონარი“ ფარგლებში, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს, დაიწყო კალის ლექციონარის კოდიკოლოგიური შესწავლა.
- 23 ივლისი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ქიმიასა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტებმა ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიაში გაიარეს პრაქტიკა.
- 2-3 ოქტომბერი: ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში 2020 წლის 2-3 ოქტომბერს აღინიშნა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“. პროგრამაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჩაერთო კომპლექსური პროექტით „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“. ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგებოდა, რომელიც ითვალისწინებდა ლექციების კურსს, ონლაინ გამოფენებს, ონლაინ ექსკურსიებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ – ემიგრაციაში მცხოვრები მოზარდების, მათი მასწავლებლებისა და მშობლებისათვის.
- 6 ოქტომბერი: XV საერთაშორისო ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებას შესთავაზა მუსიკალური ხელნაწერების მრავალფეროვანი კოლექციის ფოტოასლების გამოფენა. 6 ოქტომბერს გია ყანჩელის სახელობის ბაღში დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა ეხილა X საუკუნის ხელნა-

წერი – მიქაელ მოდრეკილის იადგარი (ასლი), X-XI საუკუნეების საგალობლების უნიკალური კრებულები (ასლები), საქართველოში სამ ხმად ჩაწერილი ქართული გალობის ყველაზე ადრეული ნიმუში – დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ შექმნილი კრებული „იოანე ოქროპირის წირვის წესი“ (1863 წ.), ექვთიმე კერესელიძისა და ფილიმონ ქორიძის მიერ გადარჩენილი და ჩაწერილი ქართულ საგალობელთა კრებულები.

- 26 ოქტომბერი: დასრულდა მეფე ერეკლეს დაბადებიდან 300 წლის საიუბილეოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი „მიულოცე მეფეს!“, კონკურსში მონაწილეობა მიიღო სკოლის დაწყებითი საფეხურის 341-მა მოსწავლემ მთელი საქართველოდან.
- 30 ოქტომბერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ თანამშრომლობით იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლის საიუბილეოდ განხორციელდა პროექტი „ქართული დიასპორები სტუმრად იაკობთან“. ონლაინ შეხვედრის ფარგელბში 75 მსმენელს – მსოფლიოს 15 ქვეყანაში (თურქეთი, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, ირლანდია, საბერძნეთი, შვეიცარია, გერმანია, ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი, იტალია, პორტუგალია, ბელარუსი) მცხოვრებ ემიგრანტებს მიეცათ შესაძლებლობა გაეცნოთ იაკობი, როგორც უდიდესი ქველმოქმედი, დიასპორებსა და სტუდენტებზე მზრუნველი, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული ადამიანი. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო ონლაინ ექსკურსია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელსაც უძღვებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი ნესტან ბაგაური. ონლაინ ექსკურსია ჩატარდა, ასევე, ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში.

მოამზადა **შალვა გლოველმა**